

**ქირითაღი თაგაბი
HEADLINES**

**I I A
GEORGIA**

No 09.11.2014 248

**ქვირის ღაიჯანბი
WEEKLY DIGEST**

*შეხვედრა მსოფლიო ბანკის
ვიცე-პრეზიდენტთან*

*შეხვედრა მსოფლიო ბანკის
ვიცე-პრეზიდენტთან*

**Meeting with the Vice President of
World Bank**

*Meeting with the Vice President
of World Bank*



*პრემიერ-მინისტრი თურქეთის
პარლამენტის თავმჯდომარეს
შეხვდა*

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ლორა ტაკს შეხვდა. შეხვედრის ძირითადი თემები საქართველოს მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა, ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო და მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები იყო. საქართველოს მთავრობის მეთაურმა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა საქართველოში გზების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ენერჯეტიკის სფეროში განხორციელებული პროექტებისთვის და აღნიშნა, რომ მთავრობა ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამას. პრემიერმა ვიცე-პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2015 წელს თბილისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრა გაიმართება.

The Georgian Prime Minister Irakli Garibashvili met the vice president of the World Bank Laura Tuck. Main issues of the meeting were cooperation of Georgia with the World Bank, current investment environment of the country and current economic reforms. The head of the Georgian government thanked the vice president of the World Bank for projects implemented in the fields of roads, municipal infrastructure, and agriculture and energetic and noted that the government also attaches a great importance to budget supporting program. The Prime Minister informed the vice president that in 2015 annual meeting of European reconstruction and development bank will be held in Tbilisi.

*Prime Minister met the chairman
of Turkish Parliament*

**პრემიერ-მინისტრი თურქეთის
პარლამენტის თავმჯდომარეს
შეხვდა**

**Prime Minister met the
chairman of Turkish
Parliament**

*საქართველოსა და უნგრეთის
შორის ხელი მოეწერა
რამდენიმე მემორანდუმს
თანამშრომლობის შესახებ*

*Several Memorandums of Co-operation
between Georgia and
Hungary was Signed*



*DCFTA-ის სამოქმედო გეგმის
თაობაზე დონორებთან სა-
კოორდინაციო შეხვედრა
გაიმართა*

*Coordination Meeting with Do-
nors on Course of Action of the
DCFTA was Held*

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის დიდი ერლენული მეჯლისის თავმჯდომარეს ჯე

Prime Minister of Georgia Irakli Garibashvili met the head of the great national

მიღ ჩინექს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემები ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება, პარლამენტთაშორისი მეგობრობის ჯგუფების გააქტიურება და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება იყო. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია. ასევე, ხაზი გაესვა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის მნიშვნელობას, რომელიც გააღრმავებს რეგიონულ თანამშრომლობას ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროებში. პრემიერის განცხადებით, საქართველო თურქეთს საიმედო მოკავშირედ და სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს და მის მხარდაჭერას ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ირაკლი ღარიბაშვილმა თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარეს „თურქეთის საჯარო და კერძო სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ 2014-2015 წლებისთვის“ პროგრამის დამტკიცებისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თურქეთთან თანამშრომლობა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

საქართველოსა და უნგრეთს შორის ხელი მოეწერა რამდენიმე მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ

assembly of Turkey Jemil Chichek. The key topics of the conversation were deepening the cooperation between two countries, activating inter-parliament friendship groups and developing trade-economic relations. As it was mentioned at the meeting Turkey is the number first trade partner of Georgia. In addition the importance of the project of Baku-Tbilisi-Karsi railway road project was emphasized which will deepen regional cooperation in the fields of transport and trade. According to the Prime Minister Georgia considers Turkey as a reliable ally and strategic partner and attaches a great importance to its support towards the country's Euro Atlantic aspirations. Irakli Garibashvili thanked the chair of Turkish Parliament for approving the program on "teaching the Georgian Language in public and private school of Turkey in 2014-2015". At the meeting it was emphasized as well that cooperation with Turkey in the field of cultural heritage is one of the key priorities of Georgia.

Several Memorandums of Co-operation between Georgia and Hungary was Signed



30-31 ოქტომბერს თბილისში საქართველოს და უნგრეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მეორე სხდომა გაიმართა. კომისიას საქართველოს მხრიდან ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე, უნგრეთის მხრიდან კი ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ლასლო საბო. ორივე მხრიდან კომისიის სხდომას დაესწრნენ შესაბამის სფეროებზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლები. მათ შორის, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნოდარ კერესელიძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯაღალანია. კომისიის სხდომაზე განხილული იყო საქართველოსა და უნგრეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები შემდეგ სფეროებში: ვაჭრობა და ინვესტიციები, სამოქალაქო ავიაცია და რკინიგზა, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, ტურიზმი, ფინანსები და საბაჟო, რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა, ინტელექტუალური საკუთრება, სტანდარტიზაცია, შესაბამისობის შეფასება და მეტროლოგია, აკრედიტაცია, სტატისტიკა, განათლება, ევროინტეგრაცია, ჯანდაცვა, და სხვა. შეხვედრაზე საუბარი წარიმართა ორი ქვეყნის თანამშრომლობაზე სოფლის მეურნეობის სფეროში და ამ

On October 30-31, the second commission session of economic co-operation between Georgia and Hungary was held in Tbilisi. The commission was headed by Mikheil Janelidze, Deputy Minister of Economy and Sustainable Development of Georgia and Laszlo Sabo, Minister for Foreign Affairs and Trade of Hungary. The commission session was attended by the representatives of responsible bodies from both sides, including Nodar Kereselidze, Deputy Minister of Agriculture of Georgia and David Jalaganian, Deputy Minister of Foreign Affairs of Georgia. The sides discussed the issues regarding the deepening co-operation between Georgia and Hungary in the following fields: trade and investments, civil aviation, railway, telecommunication, energy, agriculture, environmental protection, intellectual property, standardization, conformity assessment and metrology, accreditation, statistics, education, euro integration, health care etc. The sides discussed the issues regarding the co-operation in the field of agriculture and the projects implemented in this direction. As it was also mentioned, Georgia will work to increase export of the Georgian agricultural production on Hungarian market. The

მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზე. ასევე აღინიშნა, ქართული მხარე უნგრეთის ბაზარზე საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის გაზრდაზე იმუშავებს. ასევე შეიქმნება სოფლის მეურნეობის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, მიხეილ ჯანელიძემ იმედი გამოთქვა, რომ უნგრეთის მხარე მიმდინარე წლის ბოლომდე მოახდენს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციას. მან ასევე აღინიშნა, რომ 2015 წელს დაიგეგმა ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას მიიღებენ ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლები. კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ, კომისიის თანათავმჯდომარეებმა მიხეილ ჯანელიძემ და ლასლო საბომ ხელი მოაწერეს სხდომის ოქმს, რომელშიც დაისახა ერთობლივი სამოქმედო პროგრამა პროექტების განხორციელების მიმართულებით. ორივე ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მიერ ასევე ხელი მოეწერა პროგრამის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ და ურთიერთგაგების მემორანდუმებს ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროებში.

DCFTA-ის სამოქმედო გეგმის თაობაზე დონორებთან საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა

working group on agriculture related issues will also be created. Mikheil Janelidze, Deputy Minister of Economy and Sustainable Development of Georgia expressed his hope that Hungary will manage ratification of the Association Agreement between Georgia and the EU before the end of this year. He also mentioned that the business and investment forum will be planned in 2015 and the representatives of the business circles from the two countries will take part in this forum. After the commission session, Mikheil Janelidze, Head of the commission and Laszlo Sabo signed the minutes of the session where a joint working program in the direction of projects implementation has been defined. The program on the co-operation in the field of tourism and memorandum of understanding in the field of quality infrastructure were signed by the representatives of respective governmental bodies from both countries

Coordination Meeting with Donors on Course of Action of the DCFTA was Held



ნ ნოემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, დონორებთან საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. მის მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის საფუძველზე შემუშავებული საქართველოს საჭიროებების დოკუმენტის შესახებ. შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე, რომელმაც გააკეთა პრეზენტაცია დოკუმენტის შესახებ. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია. შეხვედრა გაიმართა საქართველოს პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში და მას ესწრებოდნენ დონორი ორგანიზაციების, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები.

On November 6, with the initiative of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, coordination meeting with the donors was held. The participants were provided with detailed information about the requirements document made on the basis of 2014 – 2017 course of action of the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) with the EU. The meeting was led by Mikheil Janelidze, Deputy Minister of Economy and Sustainable Development of Georgia where he gave a presentation about the document. The discussion was held after the presentation. The meeting was held at the National Parliamentary Library of Georgia. It was attended by the representatives of the donor organizations, embassies of the EU Member States and government authorities.

**საქართველო, ბათუმი, 6010, ბაკოს ქ. 50
ბელ. +995 (422) 27 49 70
www.iia.ge**

**6010, 50 Baku str. Batumi, Georgia
Tel: +995 (422) 27 49 70
Info@iia.ge**